გილოცავთ! თქვენ გახდით მარნეულის კოლეჯის სტუდენტი

თუ გსურთ მიაღწიოთ წარმატებას, გახდეთ პროფესიონალი და შეხვდეთ მომზადებული თანამედროვეობის გამოწვევებს, მაშინ პროფესია უნდა აირჩიოთ გააზრებულად, ისწავლოთ კარგად და დაეუფლოთ პროფესიულ უნარებს. ხოლო ჩვენ, ჩვენი მხრიდან ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამების გარდა, გთავაზობთ მრავალფეროვან სერვისს

ჩვენი მისია და ღირებულებები

მ ი ს ი ა

ჩვენი მისიაა მრავალპროფილური პროფესიული პროგრამების განხორციელებით ქვემო ქართლის რეგიონის შიდა ბაზრის მოთხოვნებისა და საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება და დასაქმების ხელშეწყობა, რაც რეგიონში უზრუნველყოფს დასაქმების მაჩვენებლის გაზრდას, მათ შორის, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის. კოლეჯი თავისი საქმიანობით ხელს უწყობს ქართული ენის პოპულარიზაციას, ახალგაზრდებში ტოლერანტობისა და ურთიერთპატივისცემის ფასეულობების დამკვიდრებისას.

ხ ე დ ვ ა დ ა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ი

2028 წლისთვის მარნეულის კოლეჯი იქნება ერთ-ერთი წამყვანი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ქვემო ქართლის რეგიონში, რომლის მიერ მომზადებული კადრებით დაკომპლექტებული იქნება ქვემო ქართლში მოქმედი ორგანიზაციები.

სამართლიანობა, თანამშრომლობა, გამჭვირვალობა, ტოლერანტობა.

კოლეჯთან კომუნიკაცია

XXI საუკუნეში ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გარეშე წარმოუდგენელია პირადი და საქმიანი ურთიერთობა, ამიტომ ძალაინ მნიშვნელოვანია, რომ დროულად უზრუნველყოთ თქვენი კომპიუტერები და/ან ტელეფონები შემდეგი საკომუნიკაციო პლატფორმებით: Web, Facebook, Instagram, Google Gmail, Microsoft Teams,. ამ არხებით თქვენ მიიღებთ კოლეჯიდან მნიშვნელოვან ინფორმაციებს, სიახლეებს, სასწავლო რესურსებს, წვდომას დისტანციურ მეცადინეობებზე.

მარნეულის კოლეჯის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა:
marneulicollege@gmail.com; info.marneulicollege@gmail.com

გაითვალისწინეთ!

კოლეჯის ოფიციალური ელფოსტიდან (ასევე გზამკვლევის ბოლო გვერდზე მოცემული კოლეჯის პერსონალის ოფიციალური ელექტრონული ფოსტით) ინფორმაციის (დოკუმენტი, სიახლე, საორგანიზაციო შეტყობინება და სხვა) გაგზავნის შემდეგ - სამი დღის ვადაში რეაგირების არარსებობის შემთხვევაში, ინფორმაცია ჩაითვლება მიწოდებულად;

კოლეჯის ვებგვერდი: WWW.MC.EDU.GE

კოლეჯის ფეისბუქი: „მარნეულის კოლეჯი - Марнеульский колледж“

კოლეჯის ინსტაგრამი: “marneulicollege”

გზამკვლევის ბოლო გვერდზე თქვენ იხილავთ კოლეჯის ყველა სტრუქტურული ერთეულის საკონტაქტო მონაცემებს.

სასწავლო პროცესი

კოლეჯში სასწავლო პროცესი დაგეგმილია წინასწარ მომზადებული და დამტკიცებული სასწავლო გეგმის შესაბამისად. მეცადინეობის დღეებია: ორშაბათი, სამშბათი, ოთხშაბათი, პარასკევი და შაბათი. დასვენების დღე -კვირა, ასევე შრომის კოდექსით დადგენილი და კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული უქმე დღეები:

- ✓ 14 ოქტომბერი - მცხეთობა (სვეტიცხოვლობა)
- ✓ 23 ნოემბერი - გიორგობა
- ✓ 1 და 2 იანვარი - ახალი წლის სადღესასწაულო დღეები
- ✓ 7 იანვარი - უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღე
- ✓ 19 იანვარი - ნათლისღება – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს გაცხადების დღე
- ✓ 3 მარტი - დედის დღე
- ✓ 8 მარტი - ქალთა საერთაშორისო დღე
- ✓ 21 მარტი - ნოვრუზ ბაირამი
- ✓ 9 აპრილი - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე
- ✓ სააღდგომო დღეები – დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღე; მიცვალებულთა მოხსენიების დღე – აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი (თარიღები გარდამავალია)
- ✓ 9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღე
- ✓ 12 მაისი - ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვდომილობის დღე, საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის, დამაარსებლის – წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე – იმედის დღე
- ✓ 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე
- ✓ 28 აგვისტო - ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღე (მარიამობა)

პროფესიულ პროგრამებზე სწავლება მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ კომპონენტს. თეორიული მეცადინეობები შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურ რეჟიმში „Microsoft Teams“ პლატფორმის გამოყენებით. პრაქტიკული მეცადინეობები კი ტარდება კოლეჯში, ან პრაქტიკის ბაზაზე. მეცადინეობის ცხრილი თქვენთვის ხელმისაწვდომი იქნება კოლეჯის ვებგვერდზე WWW.MC.EDU.GE და სოციალური ქსელის ჯგუფში, რომელიც შიქმნება სწავლის დაწყებისთანავე.

<u>გაითვალისწინეთ!</u>

მოდულის მეცადინეობების 30%-ზე მეტის გაცდენის შემთხვევაში კოლეჯის რეგულაციების შესაბამისად - არ დაიშვებით მოდულის შეფასებაზე.
პრაქტიკის ობიექტზე 30%-ზე მეტის გაცდენის შემთხვევაში კოლეჯის რეგულაციების შესაბამისად - არ დაიშვებით მოდულის შეფასებაზე.
სასწავლო წლის დაწყებიდან პროგრამით განსაზღვრული მოდულების 50% და მეტის არდადასტურების შემთხვევაში, კოლეჯი უფლებამოსილია შეგჩეროთ სტატუსი.

სწავლის შედეგების შეფასება

პროფესიული პროგრამა შედგება მოდულებისაგან. კვალიფიკაციის მინიჭების (ანუ დიპლომის აღების) წინაპირობას წარმოადგენს სტუდენტის მიერ შესაბამისი საგანმანთლებლო პროგრამის მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების დადასტურება, ანუ კრედიტიების მოპოვება და <u>საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.</u>

მოდულის დადასტურება ნიშნავს შეფასების პროცესში დადებითი შედეგის მიღებას. შეფასებაზე უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში თქვენ გაქვთ უფლება მოდულის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში კიდევ ერთხელ სცადოთ შედეგის დადასტურება. იმ შემთხვევაში, თუ მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას, თქვენ უფლება გაქვთ განცხადებით მიმართოთ აკადემიურ დირექტორს და მესამედ გახვიდეთ შეფასების პროცესზე.

თქვენ გაქვთ უფლება გააპროტესტოთ მიღებული შედეგი. ამისათვის განცხადებით უნდა მიმართოთ კოლეჯის დირექტორს და თქვენს საჩივარს განიხილავს სპეციალური კომისია.

<u>გაითვალისწინეთ!</u>

სამი მცდელობის მიუხედავად, თუ ვერ დაადასტურებთ მოდულის შედეგებს, მაშინ მოგიწევთ მოდულის გავლა თავიდან და დამატებითი ხარჯების ანაზღაურება, ან შეგიჩერდებათ სტუდენტის სტატუსი.

საკვალიფიკაციო გამოცდა

ყველა პროფესიული პროგრამის დასასრულს ჩატარდება საკვალიფიკაციო გამოცდა. მხოლოდ იმ სტუდენტს, რომელიც წარმატებით ჩააბარებს ამ გამოცდას, მიენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და გადაეცემა დიპლომი. საკვალიფიკაციოო გამოოცდაზე დაიშვება მხოლოდ ის სტუდენტი, რომლიც სწავლის პერიოდში დაადასტურებს პროგრამით განსაზღვრულ ყველა მოდულს. საკვალიფიკაციო გამოცდას ჩაატარებს საკვალიფიკაციო კომისია.

<u>გაითვალისწინეთ!</u>

თუ სტუდენტი არ გამოცხადდება ან ვერ ჩააბარებს საკვალიფკაციო გამოცდას, მას შეუჩერდება სტატუსი და განმეორებით საკვალიფიკაციო გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა მიეცემა ერთი წლის შემდეგ.
დიპლომის და დანართის გატანის ვადაა პროგრამის დასრულებიდან ერთი წელი, ამ ვადის ამოწურვის შემდეგ თქვენ დაგეკისრებათ დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული გადასახადი.

კონსულტაცია სასწავლო პროცესთან დაკავშირებით

სასწავლო პროცესის დასაწყისშივე თქვენი პროგრამის ხელმძღვანელი გამართავს საინფორმაციო შეხვედრებს, სადაც დეტალურად მოგაწვდით ინფორმაციას თქვენს მიერ არჩეული პროგრამის სპეციფიკის შესახებ, კოლეჯში არსებული რეგულაციების შესახებ, თქვენი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ. სწავლის პროცესში მოდულის მასწავლებელი მოგაწვდით ინფორმაციას შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებზე:

- მოდულის ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები
- სწავლის შედეგების შეფასების წესი
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ფორმა
- სწავლის შედეგების შეფასების მიმართულება (გამოკითხვა, დაკვირვება, მტკიცებულების წარდგენა)
- სწავლის შედეგების დადასტურების ინსტრუმენტი (ტესტი, პრაქტიკული დავალება, სიმულაცია, ზეპირი შეკითხვები, ინტერვიუ, პროექტის მომზადება და სხვა)
- შეფასების პროცესში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი
- სტუდენტის/მსმენელის მიერ შექმნილი მტკიცებულების განკარგვის წესი
- გეგმიური და განმეორებითი შეფასების შესაძლებლობა წინაპირობიანი და წინაპირობის გარეშე მოდულის შემთხვევაში

სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციისათვის მიმართეთ თქვენი პროგრამის ხელმძღვანელს.

მობილობის უფლება

მობილობა არის ერთი პროგრამიდან, ან კოლეჯიდან მეორე პროგრამაზე, ან კოლეჯში გადასვლა კანონმდებლობის დაცვით. თქვენ უფლება გაქვთ ისარგებლოთ შიდა (მარნეულის კოლეჯის ერთი პროგრამიდან მეორეზე გადასვლა) და გარე (მარნეულის კოლეჯიდან სხვა კოლეჯში გადასვლა) მობილობით. ამისათვის უნდა გაიაროთ კონსულტაცია პროგრამის ხელმძღვანელთან და განცხადებით მიმართოთ დირექტორს.

სტუდენტის სტატუსი

კოლეჯში ჩარიცხვისთანავე თქვენ მოგენიჭათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი. სხვადასხვა მიზეზით (პირადი განცხადება, მეცადინეობის გაცდენა, შინაგანაწესის დარღვევა და სხვა) სტუდენტის სტატუსი შეიძლება შეჩერდეს, ან შეწყდეს. შეჩერების შემთხვევაში თქვენ გაქვთ უფლება 5 წლის მანძილზე მიმართოთ კოლეჯს და მოითხოვოთ სტატუსის აღდგენა. შეწყვეტის შემთხვევაში კი მოგიწევთ ამ სტატუსის თავიდან მოპოვება მოქმედი რეგულაციების შესაბამისად (მაგალითად: მისაღები გამოცდების ჩაბარება ან სხვა);

ადრე მიღებული განათლების აღიარება

იმ შემთხვევაში, თუ ადრე სწავლობდით სხვა სასწავლებელში, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მოითხოვოთ გავლილი და დადასტურებული სწავლის შედეგების აღიარება. ამას ეწოდება ფორმალური განათლების აღიარება და რეგულირდება კანონმდებლობით. დაინტერესების შემთხვევაში კონსულტაციისათვის მიმართეთ კოლეჯის აკადემიურ დირექტორს.

არსებობს ასევე არაფორმალური განათლება, ანუ მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს ფორმალური განათლების მიღმა პროფესიული ცოდნისა და უნარების შეძენას. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება გულისხმობს არაფორმალური გზით შეძენილი პროფესიული ცოდნისა და უნარების შემოწმებას. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დროს ხდება პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნისა და უნარების შემოწმება, რაც ასევე რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით. დაინტერესების შემთხვევაში კონსულტაციისათვის მიმართეთ კოლეჯის აკადემიურ დირექტორს.

კარიერული მხარდაჭერა

იმისათვის, რომ მომავალში გაგიადვილდეთ პროფესიის არჩევა, ჩვენი კოლეჯი ყველა დაინტერესებულ პირს ეხმარება მიიღოს ინფორმაცია სხვადასხვა პროფესიის შესახებ: სად არის შესაძლებელი დასაქმება; რა კონკრეტული უნარები, თუ ცოდნა შეუძლია მიიღოს სტუდენტმა/მსმენელმა კოლეჯში, რათა მომავალში დასაქმდეს საკუთარი კვალიფიკაციისა და ცოდნის შესაბამისად.

სტუდენტების კარიერული მხარდაჭერის მიზნით კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს დამსაქმებლებთან. კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით კოლეჯის ვებ-გვერდზე და ფეისბუქის/ინსტაგრამის გვერდზე მუდმივად ქვეყნდება ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ.

კოლეჯის ხელშეწყობით სტუდენტები და კურსდამთავრებულები მონაწილეობას იღებენ დასაქმების ფორუმებსა და სხვა ღონისძიებებში. კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის მენეჯერი ეხმარება სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს მოიძიონ ვაკანსიები, ჰქონდეთ კომუნიკაცია პოტენციურ დამსაქმებლებთან, გამოიყენონ თანამედროვე ტექნოლოგიები საკუთარი პროფესიონალზმისა და უნარების დემონსტრირებისათვის.

პროფორიენტაციისა და პრაქტიკის მენეჯერი კოლეჯის სტუდენტებსა და მსმენელებს უწევს კონსულტაციას და აწვდის კონკრეტულ ინფორმაციას, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგან მათ მომავალი პროფესიული განვთარებისა და კარიერული წინსვლისათვის.

პროფორიენტაციისა და პრაქტიკის მენეჯერთან კოლეჯში რეგულარული საკონსულტაციო დღეებია: ორშაბათი და ხუთშაბათი.

ადმინისტრაციული მხარდაჭერა

თქვენ უფლება გაქვთ გამოითხოვოთ კოლეჯიდან ინფორმაცია თქვენი სტატუსის ან აკადემიური მოსწრების შესახებ, კოლეჯიდან ამ შინაარსის ცნობას მიიღებთ წერილობითი მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში ყოველგვარი გადასახადის გარეშე. ცნობის გაცემა შესაძლებელია, როგორც მატერიალურად, ასევე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

კოლეჯის ამინისტრაცია მუდმივად მოგაწვდით ინფორმაციას თქვენს პირად ელერქტრონულ ფოსტაზე

დაგეგმილი გამოცდების, მნიშვნელოვანი შეხვედრების, ან ღონისძიებების შესახებ. ასევე ელექტრონულ ფოსტაზე მიიღებთ ინფორმაციას თქვენი სტატუსის ცვლილების შემთხვევაშიც.

<u>გაითვალისწინეთ!</u>

თქვენ ვალდებული ხართ მუდმივად შეამოწმოთ თქვენი ელექტრონული ფოსტა და გაეცნოთ კოლეჯიდან მიღებულ ინფორმაციას და სიახლეებს, ასევე ვალდებული ხართ - დაუყოვნებლივ მიაწოდოთ ინფორმაცია კოლეჯს პირადი ტელეფონის ნომრის ან ელექტრონული ფოსტის ცვლილების შემთხვევაში, ვინაიდან
ელექტრონული ფოსტით ინფორმაციის (დოკუმენტი, სიახლე, საორგანიზაციო შეტყობინება და სხვა) გაგზავნის შემდეგ, კოლეჯი იხსნის პასუხისმგებლობას ამ ადრესატისათვის ინფორმაციის მიწოდების თაობაზე;

სამედიცინო დახმარება

ჩვენ ვზრუნავთ სტუდენტებისა და პერსონალისათვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისათვის. კოლეჯში მკაცრად კონტროლდება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. შენობაში არსებობს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კუთხე, სადაც ინახება პირველადი გადაუდებელი დახმარებისათვის საჭირო ყველა საშუალება. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას უზრუნველყოფს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც ასევე პასუხისმგებელია პირველადი დახმარების საშუალებების შენახვა/მონიტორინგზე. თუ მეცადინეობის, ან შესვენების დროს სტუდენტი თავს შეუძლოდ იგრძნობს, საჭიროა შეატყობინოს ამის შესახებ მასწავლებელს, ან ადმინისტრაციის რომელიმე თანამშრომელს. საჭიროების შემთხვევაში ჩვენ გამოვიძახებთ სასწარაფო სამედიცინო დახმარებას, ან სტუდენტი გათავისუფლდება სამეცადინეო საათიდან.

<u>გაითვალისწინეთ!</u>
მას შემდეგ, რაც მოგენიჭებათ პროფესიული სტუდენტის სტატუსი, თქვენ საქართველოს მთავრობის დადგენილებით <u>ისარგებლებთ დაზღვევის სპეციალური პირობებით</u> (სტუდენტური დაზღვევა), ისევე, როგორც უმაღლესი განათლების სფეროს სტუდენტები.

უსაფრთხოების დაცვა

კოლეჯში რამდენიმე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და ევაკუაციის პროცედურები, რომლის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება შენობის უსაფრთხო დატოვება. კოლეჯის ტერიტორიაზე შრომისა და სწავლის უსაფრთხო პირობების შექმნაზე და ამ პირობების დაცვაზე ზრუნავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

კოლეჯი აღჭურვილია შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, ცეცხლმაქრებით, რომელიც განთავსებულია სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ დადგენილ ადგილებზე და მისი გამოყენების ინსტრუქცია გამოკრულია აღნიშნულ ინვენტართან. პერსონალისა და სტუდენტებისათვის სისტემატიურად ტარდება უსაფრთხოების სწავლება.

ბიბლიოთეკით სარგებლობა

მარნეულის კოლეჯში არსებობს ბიბლიოთეკა. კოლეჯის ბიბლიოთეკარი უზრუნველყოფს სტუდენტებსა და მსმენელებს ყველა საჭირო სახელმძღვანელოთი, კონსპექტით, თუ სხვა სახის ლიტერატურით. გარდა ბეჭდური ვერსიისა, მკითხველებისათვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის კომპიუტერში ელექტრონული კატალოგი და საბიბლიოთეკო რესურსის ელექტრონული ვერსიები. კოლეჯის ვებგვედზე თქვენთვის ასევე ხელმისაწვდომია სასწავლო სახელმძღვანელოები. ყველა მსურველს შეუძლია ისარგებლოს პრინტერით, ასლის გადამღები და სკანერის აპარატით. ბიბლიოეთაკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, რომელთა დაცვა აუცილებლია.

<u>გაითვალისწინეთ!</u>

ბიბლიოთეკიდან გატანილი წიგნის დაზიანების, ან დაკარგვის შემთხვევაში თქვენ მოგიწევთ ზიანის ანაზღეურება.

ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობა

კოლეჯში ყველა სტუდენტისათვის ხელმისაწვდომია ინფრომაციული ტექნოლოგიებითა და უკაბელო ინტერნეტით სარგებლობა სასწავლო მიზნებისათვის. სასწავლო მიზნებისათვის შეგიძლიათ ისარგებლოთ კომპიუტერით სამეცადინო საათის მიღმაც.

<u>გაითვალისწინეთ!</u>

ტექნიკასთან დაუდევრად მოპყრობის და დაზიანების შემთხვევაში, თქვენ მოგიწევთ ზიანის ანაზღეურება.

დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამები

რეგიონის ახალგაზრდებისა და ყველა დაინტერესებული პირის უწყვეტი სწავლის პრინციპიდან გამომდინარე, კოლეჯი ახორციელებს ისეთი მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც მომავალში ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის გაზრდას. ეს კი ემსახურება დასაქმების ხელშეწყობას. პროგრამები მიმართულების მიხედვით მრავალფეროვანია - სამედიცინო, სკოლამდელი აღზრდა, საფინანსო და საბუღალტრო სერვისები, ინფორმაციული მხარდაჭერა, სამეწარმეო უნარების განვითარება. ჩვენთან ასევე შეგიძლიათ დაესწროთ ქართული და რუსული ენის შემსწავლელ კურსებს. კოლეჯი ხელს უწყობს სხვადასხვა ორგანიზაციებს განახორციელონ სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროგრამები კოლეჯის სტუდენტებისათვის.

სტუდენტური აქტივობები

სწავლისა და განვითარების მოტივაციის ამაღლების მიზნით, კოლეჯი ხელს უწყობს სტუდენტებს სასწავლო გეგმის გარეშე აქტივობების განხორციელებაში. ამისათვის კოლეჯში შექმნილია სტუდენტური თვითმმართველობა. სასწავლო პროცესის მიღმა სტუდენტს შეუძლია მოსინჯოს ძალები და თავი წარმოაჩინოს თვითშემოქმედებით კონცერტებში, კონკურსებში, კონფერენციებში, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში და სხვა. კოლეჯის ტერიტორიაზე არსებობს საკონფერენციო დარბაზი, სტუდენტებისათვის დასასვენებელი სივრცე. კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციასთან, რათა მრავალფეროვანი, შემეცნებითი და საინტერესო გახადოს სტუდენტების სტუდენტური ცხოვრება. თვითმმართველობის ჩამოაყალიბების შემთხვევაში კოლეჯი დაეხმარება სტუდენტებს საორგანიზაციო

საკითხებში.

სსსმ პირებისათვის

კოლეჯის ტერიტორია სრულად არის ადაპტირებული სსსმ პირებისათვის. სწავლების უზრუნველსაყოფად და მომავალში მათი ინტეგრაციისათვის არსებობს პანდუსები, სპეციალური ეტლი, კედლებზე გამოკრულია მიმართულების მიმანიშნებლები. ასევე, კოლეჯში გამოყოფილია პირი, რომელიც უზრუნველყოფს გადაადგილების უნარშეზრუდული პროფესიული სტუდენტების, მსმენელების, ან სტუმრების შენობაში თავისუფალ გადაადგილებას.

სტუდენტის პასუხისმგებლობა

კოლეჯის მიერ დადგელი წესების დარღვევის შემთხვევაში კოლეჯი უფლებამოსილია სტუდენტს დააკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა, რის შესახებაც გადაწყვეტილებას მიიღებს სპეციალური კომისია. დისციპლინური კომისია უფლებამოსილია სტუდენტის მიმართ მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება:

ა. გაფრთხილება;
ბ. მატერიალური ზიანის ანაზღაურება/დაჯარიმება;
გ. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.
დ. გამართლება

გაფრთხილება

პატივცემულო სტუდენტებო გაითვალისწინეთ, რომ კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე ხორციელდება ვიდეოჩაწერა.

<u>გისურვებთ წარმატებას, კოლეჯმა თქვენით უნდა იამაყოს!</u>

საკონტაქტო მონაცემები

კოლეჯის საკონტაქტო ტელეფონი: 595 30 23 90

ხარისხის მართვის სამსახური 591 057294

კოლეჯის ოფიციალური ელფოსტა: info.marneulicollege@gmail.com

კოლეჯის ბიბლიოთეკის ფოსტა:

biblioteka.mcollege@gmail.com

აკადემიური დირექტორი-ნინო გომელაური:

mc.ninogomelauri@gmail.com

სასწავლო პროცესის კოორდინატორი -ფიდან ბადალოვა

info.marneulicollege@gmail.com

ხარისხის მართვის სამსახური -ია ახალკაციშვილი

mc.iaakhalkatsishvili@gmail.com

პროფორიენტაციისა და პრაქტიკის მენეჯერი- მარი ხოხობაშვილი

mc.marikhokhobashvili@gmail.com

სასწავლო მენეჯერი ანნა კუჭუხიძე

mc.annakuchukhudze@gmail.com

საექთნო განათლების პროგრამის ხელმძღვანელი-თამარ ალავიძე:

mc.tamaralavidze@gmail.com

აღმზრდელის პროგრამის ხელმძღვანელი-მანანა ლობჟანიძე:

mc.mananalobzhanidze@gmail.com

ფარმაციის პროგრამის ხელმძღვანელი-ლეილა ქვაცაბაია:

mc.leilakvatsabaia@gmail.com

ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი- მერაბი ფილაური

mc.merabfilauri@gmail.com

საფინანსო სერვისების პროგრამის ხელმძღვანელი - თამარ ელენე გოგიშვილი

mc.tamarelenegogishvili@gmail.com

IT სპეციალისტი- ონისე შუკაკიძე

mc.oniseshukakidze@gmail.com

საქმისმწარმოებელი - ხატია ბერუაშვილი

mc.khatiaberuashvili@gmail.com